საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთროსანი

თეთროსანი, ლევკოთეა (ბერძნ. leukothea), წარმართობის დროინდელი საკულტო ცენტრი გვარა-ხუცუბანთან (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), რ-საც უკავშირებენ „ამირანიანის" ლეგენდას და მეფე აიეტის ისტორიას. შემორჩენილია ერთი კედლის ნაშთი, მახლობლად – უძველესი ქრისტიანული ეკლესიის საძირკველი. სტრაბონის ლევკოთეას ადგილმდებარეობა თითქმის ზუსტად ემთხვევა თ-ისას. სავარაუდოდ, ბერძენ კოლონისტებს კოლხეთში დახვდათ წარმართთა სალოცავი თ., რ-იც ზუსტად თარგმნეს და ლევკოთეა უწოდეს. ორივე სახელი იდენტურია და თეთრ ღმერთს ნიშნავს.

ცნობილია თ-ის ღვთისმშობლის ხატი, რ-იც XVIII ს-ში სოფ. აკეთში გახიზნეს. აქ გერმანოზ ქავჟარაძეს გადაუწერია თ-ის „დავითნი". 2008 აშენდა ახ. წმ. გიორგის ეკლესია.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ა., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973; ს უ რ მ ა ნ ი ძ ე რ. თეთროსანი, ბათ., 2007; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

რ. სურმანიძე